ხელშეკრულება # Click here to enter text.

"დაზღვევის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ"

ქ. თბილისი თარიღი: **01.12.2025**

ერთი მხრივ, ---------- (შემდგომში /"მზღვეველი"), წარმოდგენილი სახით და მეორე მხრივ, **შპს ბათუმის ნავთობტერმინალი** (შემდგომში "კომპანია"/"დამზღვევი"), წარმოდგენილი **გენერალური დირექტორის, ფარხატ ტაშიბაევის** სახით, ცალკე მხარედ, ხოლო ერთობლივად მხარეებად წოდებულნი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა დაზღვევის სფეროში.

1.2. სადაზღვევო თანხა, პრემიის ოდენობა, ანგარიშსწორების წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლის(ებ)ით.

1.3. დაზღვევის პირობები განსაზღვრულია შესაბამისი დანართით, რომელიც სადაზღვევო პოლისსა და დამზღვევის მიერ შევსებული განაცხად-ანკეტასთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4. მზღვეველი უფლებამოსილია, მიუხედავად „კომპანიის" მიერ საგადახდო დავალებაში მითითებული დანიშნულებისა, დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი დაზღვევის სადაზღვევო პრემიის/შესატანის დავალიანება.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მზღვეველი:

2.1.1. უფლებამოსილია, მოსთხოვოს "კომპანიას" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

2.1.2. ვალდებულია, გაუწიოს ,,კომპანიას" მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება;

2.1.3. ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო პირობების შესაბამისად უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურება;

2.1.4. ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

2.1.5. უფლებამოსილია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, იმ შემთხვევაში, თუკი ზარალი არ აღემატება 5,000.00 ლარს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტების მეშვეობით, „კომპანიას" მიაწოდოს ზარალის დარეგულირების დოკუმენტაცია;

2.1.6. უფლებამოსილია, „კომპანიას" მოსთხოვოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტების მეშვეობით მიწოდებული ზარალის დარეგულირების ორიგინალი დოკუმენტაციის (დოკუმენტზე უნდა ჩანდეს ხელმოწერა და ბეჭედი) წარმოდგენა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, პერიოდის ამოწურვამდე.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ,,კომპანია":

2.2.1. უფლებამოსილია, მოსთხოვოს "ირაოს" მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.2.2. ვალდებულია, "ირაოს" მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებით;

2.2.3. ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

2.2.4. ვალდებულია, „ირაოს" მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტების მეშვეობით გაგზავნილი ზარალის დარეგულირების ორიგინალი დოკუმენტაცია (დოკუმენტზე უნდა ჩანდეს ხელმოწერა და ბეჭედი) შეინახოს სადაზღვევო პერიოდის ბოლომდე და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს აღნიშნული დოკუმენტაცია „ირაოს".

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **19.12.2025**- დან მოქმედებს **19.12.2026**- მდე, მაგრამ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ - სრულად შესრულებამდე.

3.2. დაზღვევის პერიოდი განისაზღვრება შესაბამისი პოლისით.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება:

4.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში;

4.1.2. ვადაზე ადრე ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ მეორე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

4.1.3. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს;

4.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. იმ შემთხვევაში თუ "კომპანია" დაარღვევს სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის ვალდებულებას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ფულადი სახით დავალიანების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს "კომპანიას" ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მხარეებს ეკრძალებათ საკუთარი ინიციატივით ცალმხრივად მოშალონ ხელშეკრულება, გარდა ამ ხელშერულებით და/ან საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. კონფიდენციალობა

6.1. მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, მიუხედავად მათი წერილობითი ან ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს.

7. ფორს-მაჟორი

7.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულებაში" გამოყენებული მნიშვნელობით, ტერმინი ,,ფორს-მაჟორული მდგომარეობა~ გულისხმობს შემდეგი გარემოებების არსებობას:

7.1.1. სამხედრო მოქმედებები, რომლებიც გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომის შედეგია, აგრეთვე აჯანყებები, არეულობები, სამოქალაქო ომები და მღელვარებები, დანაშაულებრივი აქტები;

7.1.2. ,,ხელშეკრულების" ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი კანონებისა და საკანონმდებლო აქტების მიღება, რაც აბრკოლებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ განხორციელების უფლებას;

7.1.3. ნებისმიერი სხვა მდგომარეობა, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და არ არის დამოკიდებული ამ ,,ხელშეკრულების" მონაწილე მხარეებზე.

7.2. თუ წინამდებარე ,,ხელშეკრულებით" სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ფორს-მაჟორის შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის.

7.3. მხარე, რომლისთვისაც დადგა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომიდან 2 (ორ) სამუშაო დღეში აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან, ფორს მაჟორული გარემოება დადასტურებულ უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების მიერ.

8. დავათა გადაწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" „დაზღვევის მედიაციის" მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" „დაზღვევის მედიაციის" პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" საწევრო შემოსავლებიდან.

8.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშობა „მხარეებს" შორის, განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სქემით, სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

9. დასკვნითი დებულებანი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები ან/და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

9.2. წინამდებარე ,,ხელშეკრულების" პირობების დადგენის პროცესში წარმოებული მოლაპარაკებები და სიტყვიერი შეთანხმებები ,,ხელშეკრულების" პირობებად არ მიიჩნევა. ,,ხელშეკრულების" დებულებების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობით და ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერ საკითხზე (მათ შორის ხელშეკრულების პირობების ცვლილება) „დამზღვევის" წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს წარმოადგენს: **ბოჭორიშვილი მამუკა (პირადი # 61001012435)**

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინების გაგზავნა (გარდა ზარალის დარეგულირების დოკუმენტაციის მიწოდებისა) ხორციელდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტებზე: ---------- კომპანიის მხრიდან დოკუმენტაციის მოწოდება ხორციელდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტებიდან: bochorishvilim@batumioilterminal.com რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობით.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში „ირაოს" მხრიდან „კომპანიისათვის" ინვოისისა და „კომპანიის" მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გაფრთხილების წერილის გაგზავნა მოხდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტებიდან: invoice@irao.ge.

9.6. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი თუ დამატება (შესწორება) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში.

9.8. მხარეთა უფლება-მოვალეობები და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პირობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9.9. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილია მზღვეველი-ს იურიდიული მისამართი.

9.10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ხელმოწერის შემდეგ თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

/ „მზღვეველი"

ს/კ ----------

მისამართი: ქ. თბილისი, ----------

ელ.ფოსტა: **----------**

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის კოდი: ----------

ა/ა ----------

.....

/ზ.ა/

.....

/ზ.ა/

"დამზღვევი"

შპს ბათუმის ნავთობტერმინალი

საიდენტიფიკაციო 245432544

მისამართი ქ.ბათუმი, 6000, საქართველო,

წმინდა სევერიან აჭარელის ქ. 4გ

ტელეფონი:577 202 611

ელ-ფოსტა

bochorishvilim@batumioilterminal.com

საბანკო რეკვიზიტები

სს ხალიკ ბანკი საქართველო

ბანკის კოდი : HABGGE22

ა/ა GE75HB0000000000103608

.....

/ზ.ა/

(გენერალური დირექტორი - ფარხატ ტაშიბაევ)